ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქედის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
KEDA MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **94-942329173**
თარიღი: **18/10/2023**

**ადრესატი:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს**

**აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა**

**კომიტეტის თავმჯდომარეს**

**ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს**

**ბატონო ფრიდონ,**

თქვენი, 2023 წლის 08 სექტემბრის წერილის (07-942325173-94 08.09.2023 წ) პასუხად, რომელიც ეხება ქედის მუნიციპალიტეტში ზამთრისათვის მოსახლეობის სათბობითა და გამათბობელი საშუალებებით მომარაგების შესახებ არსებულ მდგომარეობას, გაცნობებთ, რომ ამ ეტაპისთვის გაცემულია 4000 კბ.მ მერქნული რესურსი და კვლავაც მიმდინარეობს ათვისება. ამასთან, აჭარის მთავრობისგან მოთხოვნილია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური ჭრებით მოპოვებული საშეშე მერქნის გადმოცემა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და შრომის უნარდაკარგულ ოჯახებზე გადაცემის მიზნით. გარდა ამისა, მოსახლეობა გათბობის საშუალების ალტერნატიული რესურსითაც სარგებლობს, თხილისა და კაკლის ნაჭუჭის სახით.

გამომდინარე იქედან, რომ მერქნული რესურსებით მომარაგება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მოსახლეობა საკუთარ საკარმიდამოში გაზრდილ ხეებსაც იყენებს სათბობ საშუალებად.

აღსანიშნავია, რომ დაბა ქედაში დაწყებულია გაზიფიცირების პროცესი, რაც თავის მხრივ შეამცირებს მოთხოვნას მერქნულ რესურსზე.

**პატივისცემით,**

როლანდი ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დაბა ქედა,კოსტავას ქუჩა №3, KEDA. KOSTAVA STR,№3 ს.კ/ID 246762061. ტელ/TEL: 250000

ფაქსი/FAX: 0-425-25-00-01 ელ.ფოსტა/E-MAIL: KEDAMUNICIPALITY@GMAIL.COM